საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ბენაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 01.09.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს მიხეილ ჯინჯოლია კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ზენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ზატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის მიხეილ ჯინჯოლიას წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის N1/22 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა მიხეილ ჯინჯოლია.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2025 წლის 31 ივლისს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის მიხეილ ჯინჯოლია, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისირების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მიხეილ ჯინჯოლიას ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 90 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 აგვისტოს N1/85 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2025 წლის 1 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული კანდიდატის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით მიხეილ ჯინჯოლია შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ მიხეილ ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება - მიხეილ ჯინჯოლია წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

ტრისტან ზენაშვილი

1 სექტემბერი, 2025 წელი